თბილისის "დინამო" ინგლისში

7 ნოემბერს ქ. შეფილდში (ინგლისში) შედგა თბილისის დინამოელთა პირველი გამოსვლა. თბილისელთა წინააღმდეგ თამაშობდა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი (იგი ამჟამად მეორე ადგილზეა ინგლისის I ლიგის გათამაშებაში) "შეფილდ უენსდეი".

მატჩი მოიგეს ინგლისელებმა ანგარიშით 5:0. გუშინ ჩვენი რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა "დინამოს" ხელმძღვანელობას, რომელმაც გადმოგვცა:

– თბილისელ მაყურებლებს ეხსომებათ, თუ როგორ უხეშად თამაშობდნენ "შეფილდ უენსდეის" ფეხბურთელები თბილისში. ასევე უხეშად ითამაშეს მათ თავიანთ მინდორზეც, მაგრამ ჩვენი დამარცხება არ შეიძლება ამას მივაწეროთ. დინამოელებმა ითამაშეს თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით დაბლა, აშკარად იგრძნობოდა, რომ ისინი არ არიან ნამდვილ საბრძოლო ფორმაში.

10 ნოემბერი, 1960 წ.